№184 2016 წლის 4 თებერვალი ქ. თბილისი

შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზის“ მშენებლობის ხარჯთაღრიცხვის საექსპერტო მომსახურების გაწევის შესახებ

1. საკითხის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მოწონებულ იქნეს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს (შემდგომში - სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო) წინადადება და გამონაკლისის სახით, შპს „მარაბდა - კარწახის რკინიგზის“ ხარჯთაღრიცხვის საექსპერტო მომსახურება განხორციელდეს ამ განკარგულების საფუძველზე, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის №171 დადგენილებით განსაზღვრული ტარიფების გაუთვალისწინებლად.

2. შპს „მარაბდა - კარწახის რკინიგზის“ მიერ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დანიშნული მშენებლობის ხარჯთაღრიცხვის

ექსპერტიზის ღირებულების საფასური განისაზღვროს 250 000 (ორას ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით.

3. ამ განკარგულების მოქმედება გავრცელდეს 2015 წლის 14 დეკემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**